603/2 № 7023

ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲕᲘᲠᲐ,

2 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1961 წ.

№ 40 (1676)

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-17 ᲬᲚᲘᲡ

ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲚᲔᲚᲝ

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲐᲦᲬᲝᲜᲐᲗᲐ ᲙᲐᲨᲨᲘᲠᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲜᲝ!

ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲛ ᲒᲕᲐᲘᲫᲣᲚᲐ; ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲡ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ; ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲑᲔᲓᲖᲔᲪ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲣᲐᲖᲠᲝ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔᲪ.

ᲩᲕᲔᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲨᲝᲛᲚᲘᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲡᲐᲕᲡᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲧᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲛ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ — ᲤᲐᲥᲢᲘᲐ!

ᲐᲘ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲘᲪ:

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲘᲡᲔᲚᲛᲐ, ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ—ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲢᲠᲘᲤᲘᲐᲚᲔᲛ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ; ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲑᲔᲓᲖᲔᲪ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲣᲐᲖᲠᲝ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔᲪ.

ᲩᲕᲔᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲨᲝᲛᲚᲘᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲡᲐᲕᲡᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲧᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

ᲐᲛ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲛ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲐᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲘᲐᲜᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ.

ᲐᲘ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ!

ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲚᲮᲘᲜᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ. ᲣᲐᲛᲘᲡᲝᲓᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ— ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ!.. ᲡᲞᲝᲠᲢᲘ—ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲗᲣ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲛᲝᲛᲔᲦᲔᲠᲐᲚᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲣᲮᲓᲔᲑᲐ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲐᲕᲓᲔᲡ ᲛᲐᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲪ, ᲗᲣ ᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲐ, ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲐ?!

ᲧᲝᲤᲘᲚᲮᲐᲠᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲘᲓᲛᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ?

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲘᲥ ᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲦᲐᲛᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲑᲔᲖᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲮᲔᲢᲘᲐᲚᲝᲑᲓᲔᲜ „ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲗᲐ“ ᲑᲠᲑᲝᲘᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲬᲕᲠᲗᲜᲝ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲜᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲛᲐᲗ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲐᲥᲕᲗ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲜᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘᲪ. ᲓᲐ ᲐᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲔᲡ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲜ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲑᲐᲖᲐᲡᲨᲔᲡᲔᲣᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲛᲢᲔᲠ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲜᲘ ᲐᲗᲐᲡᲒᲕᲐᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲓᲐ Ა. Შ. ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲜᲝ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲜᲝ! ᲒᲡᲣᲠᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲐᲕᲔᲓᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲝᲜᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ?.. ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲛᲐᲕᲜᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ! ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲐᲚᲘᲐ, ᲓᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲗ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲐᲨᲘ!..

ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲨᲝᲠᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ — ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ, ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ, ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ �გᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲘᲡ ᲕᲐᲚᲘᲐ! ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ, ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲨᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ: ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ — ᲰᲘᲓᲔᲒᲙᲣᲢᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲚᲐᲪ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲜᲘᲪ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲡ ᲰᲧᲐᲕᲗ; ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲠᲗᲛᲐ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲐ ᲰᲘᲓᲔᲒᲙᲣᲢᲡ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲓᲐᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲓᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲙᲐᲪᲠ, ᲞᲘᲠᲣᲗᲕᲜᲔᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ.

ᲐᲘ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ!

ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲚᲮᲘᲜᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲛ ᲒᲕᲐᲘᲫᲣᲚᲐ; ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲡ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ; ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲑᲔᲓᲖᲔᲪ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲒᲐᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲣᲐᲖᲠᲝ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔᲪ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲐ ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲐᲖᲔ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲙᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲢᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲚᲐᲖᲘᲔᲠᲘᲡ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲐᲖᲔᲪ ᲙᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲢᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲐᲖᲔᲪ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲜᲚᲐᲓ ᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ ᲔᲮᲘᲚᲐᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲢᲐᲚᲐ. ᲔᲡ ᲓᲦᲔᲒ ᲓᲐᲓᲒᲐ. VIII ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲢᲐᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲚᲐᲓ ᲗᲥᲕᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲬᲕᲡᲘ“ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲝᲙᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲘᲡᲔᲕ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ. ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲒᲐᲔᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲓᲐ ᲨᲔᲣᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲘᲙᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘ ᲕᲘᲠᲘᲓᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲤᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲐᲖᲔᲪ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲢᲐᲚᲛᲐ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲐᲖᲔᲪ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲜ



მოსწავლეთა ხელით

თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო-სამშენებლო სასწავლებლის მოსწავლეებს არა ჰქონდათ საკუთარი სპორტული დარბაზი. კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით სასწავლებლის ქვედა სართულში „აღმოჩენილ“ იქნა მოზრდილი ოთახი, რომელიც მოსწავლეებმა სპორტულ დარბაზად გადააკეთეს. ამუშავდა სექციები, გამოჩნდა პირველი წარმატებებიც.

ამას წინათ სასწავლებლის ფიზკულტურელთა აქტივის კრებამ გადაწყვიტა შეაკეთოს სპორტული დარბაზი, გახადოს იგი კეთილმოწყობილი. სპორტსმენებმა დ. ზორბალაძემ, ი. ეგოროვმა, ო. სონიძემ, კ. ტაბატაძემ, უ. ბასილაშვილმა, თ. გურგენიძემ, ვ. კევლიშვილმა, ზ. კობიძემ და სხვებმა შელესეს დარბაზის კედლები, ზეთის საღებავებით შეღებეს იგი, დააგეს პარკეტის იატაკი.

სპორტული დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა.

Ა. ᲮᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მსხლად რბენაში

სოფელ კვაშხიეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გამართეს შეჯიბრება თხილამურებით რბენაში. ვაკთა შორის 10-კილომეტრიანი ტრასა პირველმა გაირბინა ო. ერისთავმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ე. ლებანიძე. გოგონებს შორის 5 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა ნ. მესხმა.

Ა. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ

ᲚᲔᲚᲝ

ᲛᲔ-2 ᲒᲕ. № 40 (1676)

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ბევრია სპორტული დარბაზი, მაგრამ უფრო მეტია სპორტის მოყვარულნი, ამიტომ არსებული ბაზები სათანადოდ ვერ აკმაყოფილებენ ფიზკულტურელთა მოთხოვნებს. დარბაზების უმეტესობა გადატვირთულია, მაგრამ გვაქვს გადაუტვირთავი დარბაზებიც. ერთი ასეთი დარბაზი მონტინის ქუჩაზეა და იგი 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანას ეკუთვნის.

მანქანათმშენებელთა ამ ერთადერთი სპორტული ბაზის შესახებ ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, მისი მფლობელების მიმართ მრავალი საყვედურია გამოთქმული, რომ დარბაზს არასათანადოდ უვლიან, სპორტსმენებს არა აქვთ ნორმალური წვრთნის პირობები, ერთ დროს მწვრთნელებისათვის გამოყოფილ ოთახებში ახლა კერძო მობინადრენი არიან, მოუწყობელია გასახდელები, საშხაპეები და სხვ.

ლენინის რაიონის სპორტკავშირში და კომკავშირის რაიკომში კარგად იციან აღნიშნული მდგომარეობა, მის გამოსასწორებლად მრავალი ღონისძიებანი დასახეს, სთხოვდნენ ქარხნის დირექციას დარბაზი გადაეცათ რაიონის ფიზკულტურელთა განკარგულებაში, სპორტკავშირი მოუვლიდა მას, რაც თვით ქარხნის ფიზკულტურელებისათვისაც მუშაობის უკეთეს პირობებს შექმნიდა. მაგრამ ქარხნის მესვეურთ ამის გაგონებაც კი არ სურდათ. ყოველთვის, როცა დარბაზი თავს შეახსენებდა, იწყებდნენ მის „მარათონულ“ შეკეთებას, იმდენად „მარათონულს“, რომ ვიდრე სამუშაოებს მთლიანად დაამთავრებდნენ, თავიდან ხდებოდა დასაწყები...



ჩვენმა თანამშრომელმა ინახულა ამახ წინათ ეს ბაზა, კარებზე უზარმაზარ ბოქლომდადებული. დარბაზში ერთმანეთშია არეული ყველაფერი. შემკეთებლებმა იატაკით დაიწყეს, ცოტაოდენი წაიმუშავეს და შემდეგ სადღაც გაქრნენ. დახედეთ სურათებს, დარბაზის არასრული სახე ისეთია, როგორც აქ მოყვანილი ფოტოდოკუმენტები დადადებენ.

ერთი ცხადია: დარბაზი შეკეთებისა და სათანადოდ დატვირთვის შემთხვევაში საუკეთესო ბაზად შეიძლება გადაიქცეს, საჭიროა მხოლოდ მეტი გულისხმიერება, მეტი ზრუნვა.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ—ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ამ წერილში ჩვენ გვინდა ვისაუბროთ არა ბათუმის სახელოვან სპორტულ ტრადიციებსა და მის როლზე საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში, არამედ მრავალრიცხოვან წარმოებადაწესებულებათა იმ პატარა ფიზკულტურულ კოლექტივებზე, რომლებიც ზღვისპირა ქალაქის სპორტულ არტერიებს უნდა წარმოადგენდნენ, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მხოლოდ ქადაღლზე დაუკავებიათ ადგილი.

1960 წლის პირველი იანვრისათვის ბათუმში ითვლებოდა 115 ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც 12.914 კაცს აერთიანებდა. მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის კი ფიზკულტურულ კოლექტივთა რიცხვი 154-მდე გაიზარდა, ფიზკულტურელთა რიცხვმა კი 17.721 მიაღწია. ე. ი. შეიქმნა 19 ახალი კოლექტივი და ფიზკულტურელთა რიცხვმა იმატა 4807 კაცით.

ახალი კოლექტივების ხარჯზე გაიზარდა სპორტსაზოგადოებებში შემავალ ფიზკულტურელთა რიცხვი და მათი მონაცემების საფუძველზე ქალაქის სპორტკავშირის სტატისტიკური მონაცემებიც. მარტო 1960 წელს მომზადებულია 312 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, რაც მთელი არმიაა, მაგრამ მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება დამაკმაყოფილებლად არ ხდება.

პრაქტიკაში შემოღებულია წვრილი საწარმო-დაწესებულებების ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივთა გაერთიანება (გამსხვილება), რაც პრინციპში სწორი და გეგმაზომიერია, თუ მას უნარიანი ხელმძღვანელობა ყავს.

კოოპვაჭრობის მუშა-მოსამსახურეებიდან 140 კაცია გაერთიანებული „სპარტაკში“ და მას, როგორც შედარებით მსხვილ ორგანიზაციას, შეუერთეს კიდევ რამდენიმე წვრილი საწარმოს კოლექტივი.

რა გამოვიდა აქედან? კოოპვაჭრობამ თავი ვერ მოაბა რაიმე თუნდაც უბრალო ღონისძიების ჩატარებას, რომ არაფერი ვთქვათ შიდასაკოლექტივო სპარტაკიადაზე. ფეხსაცმლის ბაზიდან კი, სადაც სულ 10 კაცია ჩაბმული ფიზკულტურულ საქმიანობაში, მსროლელთა გუნდმა სახვაჭრობისა და სამომხმარებლო მუშაკთა პროფკავშირების პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. კურორტვაჭრობის მოდების ატელიეს 30-კაციანმა კოლექტივმა სახვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მე-3 საქალაქო სპარტაკიადაზე სპორტის ოთხ სახეობაში (ცურვა, მძლეოსნობა, სროლა, ფრენბურთი) შეძლო გუნდის გამოყვანა და საერთო შედეგების მიხედვით უკან ჩამოიტოვა ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიცაა სატრანსპორტო კანტორა, კოოპვაჭრობა, აპარკოოპკავშირი და კურორტვაჭრობა.

როგორც ჩანს, პატარა ორგანიზაციებსაც შეუძლიათ თავისი ღირსების დაცვა, თუ მათ უნარიანი ხელმძღვანელები აღმოუჩნდებიან.

№ 1 საკოლმეურნეო ბაზრის 56 მუშა-მოსამსახურიდან „სპარტაკის“ წევრია 36, მაგრამ აქ შაშში დაწყებული შიდასაკოლექტივო პირველობაც ვერ მიიყვანეს ბოლომდე. ეს კი ერთადერთი სპორტული ღონისძიება იყო მთელი წლის განმავლობაში.

როგორ მდგომარეობაშია ამ მხრივ ბათუმის მედიცინის მუშაკთა პერსონალი? თუ ციფრობრივ მონაცემებს დავეყრდნობით — კარგია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს კეთდება ზოგიერთი კარგი ტრადიციების მქონე ფიზკულტურული კოლექტივების ხარჯზე, როგორიცაა აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფო, სამედიცინო სასწავლებელი, სანატორიუმი „აჭარა“, ქალაქის მესამე საავადმყოფო და სხვ.

ზემოჩამოთვლილ კოლექტივებში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა ასე თუ ისე გაშლილია, მაგრამ რა მდგომარეობაში არიან მედიცინის მუშაკთა სხვა კოლექტივები? ვფიქრობთ, მათი საქმიანობა შესაშური არ უნდა იყოს:

ქალაქის № 1 საავადმყოფოს, ჩვილ ბავშვთა სახლისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებათა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში სექციური მუშაობა მხოლოდ ქაღალდზეა, ან აქაც არ არის.

ვისი ბრალია?

ქალაქის მედმუშაკთა ფიზკულტურის დარგობრივ ბიუროს წლის განმავლობაში არ ჰქონია სამუშაო გეგმა, სპორტღონისძიებათა კალენდარული გეგმა და სხვ. მას არავითარი ინსტრუქტაჟი ან მითითება არ მიუცია დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ მედიცინის მუშაკთა ქალაქკომის პრეზიდიუმს წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავს რომელიმე კოლექტივის ფიზკულტურული მუშაობის საკითხი, რომლის მიმართ ინერტულ მდგომარეობაში იყო „სპარტაკის“ საოლქო საბჭოც.

სამწუხაროდ, კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში არიან კულტურის დარგის მომუშავეები.

„სპარტაკის“ საოლქო საბჭოს სპორტული განყოფილების გამგის ვ. იაკუშევის მონაცემებზე დაყრდნობით ბეჭდვითი სიტყვის სახლის ფიზკულტურულ კოლექტივში გაერთიანებულია 62 ფიზკულტურელი; ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარის ა. გურგენიძის სიტყვით კი მთელ კოლექტივში შეიძლება მხოლოდ 30 კაცის დასახელება, რომლებსაც ფიზკულტურულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია.

ორიოდე სიტყვა ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკის მუშაკებზეც: ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარის ს. ნოსულკისა და კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის ტ. მელიკოვის სიტყვით აქ საწარმოო ტანვარჯიში ტარდება და სექციური მუშაობაც მიმდინარეობს (გადმოცემით, 57 კაცია ჩაბმული ფიზკულტურულ საქმიანობაში). მომეცადინეთა აღრიცხვის ფურცელიც კი არსად არ არის, მიზეზი მთელ კომბინატში ერთი უჯრა ვერ მოინახა საღრიცხვო რვეულის შესანახად.

მრავალი, კიდევ მრავალი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ზღვაში წვეთია ბათუმის ფიზკულტურულ საქმიანობაში. ვეთანხმებით, მაგრამ წვეთები ზღვას ქმნიან. ხოლო ეს ყველაზე კარგად ზღვისპირა ქალაქის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს.

Ბ. ᲗᲐᲛᲮᲝᲜᲐᲫᲔ

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲣᲬᲓᲐᲗᲔᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚ!

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ

ამ დღეებში წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის საკოლმეურნეო კულტურის სახლში ჩატარდა პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: შ. წიკლაურმა, შ. ვეშაგურმა, შ. სიფრაშვილმა, ე. ნათაძრიშვილმა, ო. ბექიშვილმა, ს. ჩიტაშვილმა, ვ. ნაკვეთაურმა და ო. წიკლაურმა.

* * *

წითელწყაროს რაისპორტკავშირმა გახსნა მაგიდის ჩოგბურთის სექცია, რომელიც აქ უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

წელს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებულია ჩატარდეს შეჯიბრება დაბის პირად პირველობაზე, ეგრეთვე რაიონული პირველობა. შემდეგ პერსპექტიული ახალგაზრდებით დაკომპლექტდება გუნდი საქართველოს 1961 წლის პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად.

Ე. ᲯᲐᲜᲣᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲢᲧᲘᲒᲣᲚᲘ

„საქშახტმშენის“ ტრესტის ტყიბულის სამშენებლო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ ხანს. შეიქმნა სექციები მთელ რიგ სახეობებში, შეკეთდა და მოეწყო ბაზები, რის შედეგადაც გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები.

მიღწეული არ აკმაყოფილებთ მეშახტე ფიზკულტურელებს. მათ განზრახული აქვთ აღებული ტემპი კიდევ უფრო გაზარდონ და მიაღწიონ ახალ წარმატებებს.

Ნ. ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲐᲫᲔ

ამ სურათზე ჩვენმა მოსკოველმა ფოტოკორესპონდენტმა აღბეჭდა თავისუფალი ჭიდაობის ორი საბჭოთა ვეტერანი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ა. ბეკოიშვილი და ა. პარფიონოვი (მარცხნივ).

ირანელი მოჭიდავეები თბილისში

ბილისში ჩამოვიდა ირანელი მოჭიდავეები, რომლებმაც საბჭოთა კავშირში ორი ამხანაგური შეხვედრა გამართეს. 3 აპრილს ირანის ნაკრები თბილისში შეხვდება საქართველოს გუნდს.

ხუმრები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მოლიანი შემადგენლობით არიან ჩამოხულნი. ქართველ მოჭიდავეებთან შეხვედრად ემზადებიან ნედუამ კაზემ ხოლტანი, ბაბა ულალ შაბადი, ჰამიდ თავაქოლი, მოჰამედ ალი სანატკარანი, იმამი ალი ჰაბიბი, მანსურ მეხტი ზადე, გოლიამ რეზა ტახტი და ბუხეინ ნური.

ჩემპიონის გვირგვინისათვის

მაქს ეიგე

დოქტორი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი.

მაუურებელი ყოველთვის მსოფლიო ჩემპიონის მხარეხაა. — მსოფლიო ჩემპიონი უძლიერესია. იგი მოიგებს. მან უნდა მოიგოს! მოსკოვში ჩემი ყოფნის პირველ დღეებში მე არაერთხელ მომიკრავს ყური ასეთი გამოთქმებისათვის.

ტალის გამარჯვება არავისათვის (ისე, როგორც მისთვისაც) არ იქნება მოულოდნელი. მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკისათვის ეს თითქმის ჩვეულებრივი ამბავია, ამიტომ მიმდინარე მატჩში ტალი არ თამაშობს იმ დიდი აღფრთოვანებით, როგორიც მას თან ახლდა გასულ წელს.

ხულ ხხვას ვხედავთ ბოტვინიკში. იმ დროს, როცა ტალს აღარაფერი აქვს მისაღწევი, ბოტვინიკს აღარაფერი აქვს დასაკარგი. იგი იყენებს თავისი რევანშის უფლებას. თუ წააგო? რა ვუყოთ, ხხვას არც მოელოდნენ! მაგრამ თუ გაიმარჯვა, ეს კიდევ უკეთესი! ამიტომ ბოტვინიკს შეუძლია ითამაშოს თავისუფლად, თამამად, გაბედულად. ამრიგად, ბოტვინიკის მხარეხაა ყველა ფსიქოლოგიური ფაქტორი.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მატჩში უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება.

ამ თეზისის დასამტკიცებლად მომყავს ზოგიერთი მაგალითი ჭადრაკის ისტორიიდან.

კაპაბლანკამ გამოიწვია მატჩში ლასკერი და 1921 წელს დაამარცხა იგი (+4—0=10).

ალიოხინმა გამოიწვია მატჩში კაპაბლანკა და 1927 წელს დაამარცხა იგი (+6—3=25).

ეიგემ გამოიწვია მატჩში ალიოხინი და 1935 წელს გაიმარჯვა კიდეც (+9—8=13).

ალიოხინმა გამოიწვია მატჩში ეიგე და 1937 წელს დაამარცხა იგი (+9—8=13).

✦

რასაკვირველია, შეიძლება ამ მაგალითებს დავუპირისპიროთ ლასკერ-ინოვსკის მატჩი, სადაც პრეტენდენტი დამარცხდა. (+1—7=2). მაგრამ ყველასათვის ნათელია, რომ მეტოქეები თანაბარი ძალისა არ იყვნენ. ასევე უნდა განვიხილოთ ალიოხინის შეხვედრები ბოგოლიუბოვთან 1929 და 1934 წლებში.

მსოფლიო ჩემპიონად ყოფნის დროს ვერც ბოტვინიკი ამარცხებდა თანაბარი ძალის მოწინააღმდეგეებს. მან დაამარცხა ხმიხლოვი, ისიც მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონი არ იყო.

მხოლოდ გასულ ხუკუნეში შეძლო ხტეინიცმა ჩიგორინთან გამარჯვება!

ამ ფაქტით მე მინდა დავამტკიცო, რომ მატჩებს მსოფლიო პირველობაზე სპეციფიკური ხასიათი აქვს, სადაც უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია ფსიქოლოგიური ფაქტორი.

თუ მსოფლიო ჩემპიონების სპორტულ მიღწევებს განვიხილავთ გარკვეულ ახაკში, მივიღებთ შემდეგ სურათს:

კაპაბლანკამ მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა 33 წლის ასაკში, დაკარგა იგი 39 წლისამ. 47 წლის ასაკში იგი შესანიშნავად თამაშობდა ნოტინგემში, ხოლო ორი წლის შემდეგ ამსტერდამში ვერ შეძლო დამაკმაყოფილებელი შედეგის მოპოვებაც კი.

ალიოხინმა (მსოფლიო ჩემპიონი 35 წლიდან) წოდება დაკარგა 43 წლის ასაკში, კვლავ დაიბრუნა იგი უკვე 45 წლისამ, მაგრამ ამის შემდეგ თანდათან იკლო მისმა წარმატებებმა.

მსოფლიო ჩემპიონის სახელი მე პირადად მოვიპოვე 34 წლის ასაკში, დავკარგე 36 წლისამ. 45 წლის ასაკში გრონინგენის 1946 წლის ტურნირში საკმაოდ კარგად ვთამაშობდი, მაგრამ ორი წლის შემდეგ პირველობის მატჩ-ტურნირში რამდენადმე დამაკმაყოფილებელ შედეგსაც კი ვერ მივაღწიე.

ბოტვინიკი მსოფლიო ჩემპიონი გახდა 37 წლისა, პირველად ეს წოდება დაკარგა 46 წლისამ, ისევ დაიბრუნა ჩემპიონის სახელი 47 წლისამ და კვლავ დაჰკარგა 49 წლის ასაკში.

ხმისლოვმა მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა 36 წლის ასაკში და დაკარგა იგი ერთი წლის შემდეგ.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ჭადრაკის ოსტატები ყველაზე დიდ წარმატებას აღწევენ 35-45 წლის ასაკში, ხოლო შემდეგ მათი სპორტული მიღწევები თანდათან კლებულობს. ამას ჩვენ ვამჩნევთ რეშევსკის, ნაიდორფის შემოქმედებაში, რომლებმაც უკვე მიაღწიეს 50 წელს და ხაშუალო ძალის ტურნირში მხოლოდ 6 ქულას აგროვებენ 11 შესაძლებლიდან.

დაბოლოს, დოქტორი ემანუელი ლასკერი.

იგი 26 წლის ასაკში გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ეს წოდება შეინარჩუნა 53 წლამდე (!), ხოლო 1921 წელს ნიუ-იორკში 56 წლის ასაკში ითამაშა ისე როგორც არასდროს. 1935 წელს მოსკოვში უძლიერესთა ტურნირში 67 წლის ლასკერს არც ერთი პარტია არ წაუგია!

დაიბრუნებს თუ არა ბოტვინიკი ხაჭადრაკო გვირგვინს? თუ დაიბრუნა, მაშინ იგი ლასკერის მსგავსი იქნება, თუ არა და უნდა გაინაწილოს თავისი კოლეგების უმრავლესობის ხვედრი.

მთავარია რეზერვი

როგორც ცნობილია, „ა“ და „ბ“ კლასების ფეხბურთელთა კოლექტივებთან შექმნილია ჯაბუკთა და ბავშვთა გუნდები, რომელთა მთავარ მოვალეობას შეადგენს აღზარდონ პერსპექტიული რეზერვები ოსტატებისათვის. ეს დიდა და საპასუხისმგებლო საქმეა, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელობა და კონტროლი უნდა გაუწიონ ოსტატთა გუნდების უფროსმა მწვრთნელებმა.

ამგვარი გუნდების სათანადოდ დაკომპლექტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხბურთის მასობრივ გავრცელებას ბავშვთა შორის. სწორედ ამიტომ დიდმნიშვნელოვანია ამჟამად მიმდინარე რესპუბლიკური შეჯიბრება მოზარდ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრება დაიწყო 19 მარტს და ამის შესახებ კარგად იყვნენ ინფორმირებული გუნდების ხელძღვანელები, მაგრამ ქუთაისის „ტორპედომ“ (უფ. მწვრთნელი უ. ხალდაძე, ბავშვთა გუნდის ხელმძღვანელი კ. ხუროძე) არ მიიღო სოხუმის „რიწის“ ნორჩი ფეხბურთელები. თავის გასამართლებლად ქუთაისელებმა წამოაყენეს საბაბი, რომ მზად არა ჰქონდათ მინდორი.

მაგრამ მცირე ხანს შემდეგ ქუთაისელ ნორჩ ფეხბურთელებს უნდა ეთამაშათ ოჩამჩირეში, მაგრამ ისინი არც აქ გამოცხადნენ. საინტერესოა, რას იტყვის ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა, ოჩამჩირეში ხომ საფეხბურთო მინდორი საუკეთესო მდგომარეობაშია!

თავიანთ მხრივ არც ოჩამჩირელები (მწვრთნელი ა. ტყეებუჩავა) გამოცხადნენ ბათუმის დინამოელებთან სათამაშოდ.

ახალი პროგრამით

მიმდინარე წლის იანვარში მიღებულმა ახალმა საკლასიფიკაციო ნორმატივებმა ტანვარჯიშში, საგრძნობლად შეზღუდა მოზარდ სპორტსმენთა მოსამზადებელი დრო საქართველოს ალკა გარდამავალ თასზე გამართულ პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობის მისაღებად.

დროის მაქსიმალურად გამოყენებისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური ეტაპობა, ზოგიერთი ოსტატთა გუნდების ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს ნორჩ ფეხბურთელებთან მუშაობას და არც სპორტსაზოგადოებები და სპორტკავშირები არიან დაინტერესებული რეზერვების აღზრდის საქმით.

დინამოელებმა ცუდად ითამაშეს

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს მორიგი საკონტროლო მატჩი ჰქონდათ საკავშირო ჩემპიონატის დაწყების წინ. მათ წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკი“.

ძლიერი ქარი მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს თამაშის ნორმალურ მსვლელობას, მაგრამ სწორედ ამ ძნელ პირობებში „სპარტაკი“ მთელი თავით მაღლა იდგა თავის მოწინააღმდეგეზე. გარდა იმისა, რომ მოსკოველებმა უფრო სწორად განსაზღვრეს თავიანთი სამოქმედო გეგმა, ისინი უკეთ გამოიყურებოდნენ ინდივიდუალური მომზადებითაც.

დინამოელთა თამაშში მრავალ შეცდომას ჰქონდა ადგილი. მცველები სისტემატურად აგვიანებდნენ ბურთზე გასვლას, მოქმედებდნენ შეჯგუფულად, არ ჰქონდათ დაცული სიზუსტე ურთიერთდაზღვევისას.

უსისტემოდ ითამაშეს თავდამსხმელებმაც, რომლებიც ბურთის გაუთავებელი ტარებით უფრო იყვნენ გართული, ვიდრე კოლექტიური, გეგმიანი შეტევების წარმოებით. სუსტად იცავდა კარს მეკარე ს. კოტრიკაძე.

ანგარიში 4:2 „სპარტაკის“ სასარგებლოდ სავსებით შეესაბამება მატჩის მსვლელობას.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ—3:3.

მოკლე

მე-3 ფურ. **№ 40 (1676)**

ლიდერის პოზიცია შეირყა

სულ ორიოდე კვირის წინათ ინგლისის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშებაში პირველი ადგილის საკითხი არავითარ ეჭვს არ იწვევდა. ლიდერი—„ტოტენჰემ ჰოტსპური“ დიდად იყო დაცილებული თავის მეტოქეებს — 11 ქულით.

მაგრამ ბოლო ტურების შემდეგ მდგომარეობა საოცრად შეიცვალა. „ტოტენჰემმა“ ორი მატჩი ზედიზედ წააგო („კარდიფ სიტისთან“ და ერთ-ერთ ბოლო ადგილზე მყოფ „ნიუკასლ იუნაიტედთან“) და ახლა მასა და მეორე ადგილზე მყოფ „შეფილდ უენსდეის“ შორის დარჩა მხოლოდ-დამხოლოდ 4 ქულა. ჩემპიონატის დასასრულამდე 9 ტურია.

ᲛᲝᲚᲔᲓᲐᲜᲘᲖᲔᲐ ᲞᲔᲚᲔᲡ ᲫᲕᲐ

ამას წინათ უცხოეთის სპორტულ პრესაში გამოჩნდა საინტერესო ცნობა ბრაზილიიდან. ამ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს საფეხბურთო კლუბ „სანტოსში“ გამოჩნდა სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ეს ფეხბურთელია პელეს უმცროსი ძმა. მისი პირველი გამოსვლა მაყურებლებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს.

ᲩᲘᲚᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ე. წ. „სადაზვერვო მიზნებით“ გაემგზავრა ჩილეში.

ამ დღეებში სანტ-იაგოში შედგა ჩილისა და გფრ-ს ნაკრები გუნდების მატჩი. მასპინძლებმა უდიდესი აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრა და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3:1.

ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲔᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ

ბელგრადში 3 აპრილს დაიწყება და 10 აპრილამდე გასტანს ევროპის მორიგი ჩემპიონატი კრივში. ამასთან დაკავშირებით ლონდონში შეიკრიბა კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბ-ას) აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც განიხილა თანამედროვე კრივის საჭირბორბოტო პრობლემები უკანასკნელი ოლიმპიური თამაშების გამოცდილებათა განზოგადებით.

კომიტეტის სხდომაზე დიდი ადგილი დაეთმო მსაჯობის საკითხს, კერძოდ კი იმ შეუსაბამობებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ოლიმპიურ ტურნირზე არაკვალიფიცირებული მსაჯობის შედეგად. კომიტეტის წევრებმა ერთხმად აღიარეს, რომ რომში მსაჯობა უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი იყო. ამიტომ ტურნირს დაეკარგა ავტორიტეტი და ზოგიერთ წონით კატეგორიებში შედეგები არ შეესაბამებოდა ძალთა თანაფარდობას.

მიუხედავად ამისა, აღინიშნა კომიტეტის სხდომაზე არც ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ და არც მოგვიანებით საერთაშორისო ფედერაციამ არ იმსჯელა მსაჯობის ხარისხზე და არ დასაჯა დამნაშავენი. ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა კვლავ იმსჯელა ჩანკაიშელთა საკითხზე და მიიღო შემრიგებლური გადაწყვეტილება: ეწოდოს ჩანკაიშელთა ფედერაციას „ტაივანი“, და თუ ისინი პროტესტს განაცხადებენ ამის გამო, სამუდამოდ განიდევნონ აიბ-ას რიგებიდან.

სხდომამ მსაჯების ცხოვრებას საუკეთესოდ მიიღო საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების წინადადებები, შემდეგ შეირჩნენ აიბ-ას წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო სპორტული ფედერაციების და ოლიმპიური კომიტეტის ერთობლივ თათბირში. დელეგატებად დამტკიცდნენ: აიბ-ას პრეზიდენტი რასელი და ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ნ. ნიკიფოროვ-დენისოვი.



ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით მოელიან მსოფლიო პირველობას, რომელიც 4 აპრილს დაიწყება პეკინში.

ჩინეთის დედაქალაქში დიდი მზადებაა მრავალი ქვეყნის სტუმრების მისაღებად. მათთვის გამოყოფილია საუკეთესო სასტუმრო „ნაციონალი“, ამ ჩემპიონატისათვის სპეციალურად აშენდა ახალი სპორტის სასახლე, რომელიც 15.000 მაყურებელს იტევს. დიდი მუშაობა გაშალა პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელმაც იკისრა გუნდების მგზავრობისა და პეკინში ყოფნის ხარჯები.

ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს ავსტრალიამ, ავსტრიამ, განამ, ახალმა ზელანდიამ, ბრაზილიამ, ბულგარეთმა, ბირმამ, ვიეტნამმა, დანიამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იუგოსლავიამ, ინდოეთმა, იაპონიამ, კამბოჯამ, კანადამ, პოლონეთმა, პორტუგალიამ, რუმინეთმა, საბჭოთა კავშირმა, შვეიცარიამ, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა და ურუგვაიმ.

უნდა აღინიშნოს, მაგიდის ჩოგბურთში დღეისათვის წამყვან ძალად აღმოსავლეთ აზიის სპორტსმენები ითვლებიან. ჰეგემონია ოდესღაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოთამაშეებს ეპყრათ. შემდეგ საუკეთესოდ ითვლებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენთა ტექნიკა, ახლა კი მაგიდის ჩოგბურთელის საუკეთესო თვისებები — სისწრაფე, კოორდინაცია, შემტევი სტილი დამახასიათებელი გახდა ჩინელი და იაპონელი სპორტსმენებისათვის. იაპონელთა მიერ შემოღებულ დარტყმას, რომელსაც ისინი ტოპ-სპინგს უწოდებენ, გერმანელმა სპორტსმენმა პლოიზემ „დამცველი სტილის მოთამაშის სიკვდილი“ შეარქვა. უნგრეთისა და შვეიცის უძლიერესმა სპორტსმენებმა მძიმე დამარცხება განიცადეს ჩინეთში, ხოლო უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდებმა — იაპონიაში.

რ. ᲧᲐᲠᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: პეკინის სპორტის სასახლე. სადაც ჩატარდება მსოფლიო პირველობა.

რედაქტორი ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ



ᲮᲕᲐᲚ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲪᲘᲠᲙᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ᲗᲕᲔᲚᲝ — ᲘᲠᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠ

დასაწყისი 19 საათზე.

ᲭᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲛᲝᲓᲐ.... ᲛᲝᲓᲐ...

ცნობილი ამერიკული ზამთრის კურორტი — რავენ-ველი სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ ცენტრად ითვლება. აქ ემზადებიან გამოჩენილი სლალომისტები, მორბენლები, მხტომელები. მაგრამ, გარდა ამისა, აქ ყოველთვის მრავლად ჩამოდიან მოდას აყოლილი ქალები, რომელთა ნაირფერი ტანსაცმლისაგან რავენ-ველის თოვლიანი ფერდობები თვალის მომჭრელადაა აფერადებული.

სწორედ მათი კაპრიზების საამებლად გადაწყვიტა კურორტის დირექციამ შეღებოს თოვლი ისეთ ფერად, რომელიც უკეთესად შეეხამება მოდის უკანასკნელ ძახილს. ამის შესაბამისად რავენ-ველს გარს აკრავს წითელი, მწვანე, ლურჯი და ჭრელი თოვლიც კი.



ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ქ. სოხუმის მცხოვრები ა. გოგინავა გვეკითხება: იყო თუ არა ფეხბურთელი ი. ნეტო მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში.

ი. ნეტო მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში არასოდეს არ ყოფილა.

* * *

საჩხერის რაიონის სოფ. მერკევის საშუალო სკოლის მოსწავლეებს ს. დეკანოიძეს და ო. ენუქიძეს აინტერესებთ, რომელ წელს გადავიდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები „ა“ კლასში.

თბილისს „დინამო“ „ა“ კლასში გადავიდა 1936 წლის შემოდგომაზე. გუნდმა დააგროვა იმდენივე ქულა, რამდენიც მოსკოვის „დინამომ“, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უარესი შეფარდების გამო გამოვიდა მესამე ადგილზე.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველებს გ. ნინუას, დ. ლორთქიფანიძეს, გ. გვალიას, დ. ბაინდურაშვილს და ვ. ფოთოლაშვილს აინტერესებთ რამდენიმე საკითხი საქართველოში ახლად დანერგილ სპორტულ სახეობასთან — შაიბიან ჰოკეისთან დაკავშირებით. მათ სურთ გაიგონ: რა ზომისა და წონისაა ჰოკეის შაიბა და რა მასალისაგანაა დამზადებული იგი? შეიძლება თუ არა ჰოკეისტთა მატჩის ჩატარება თბილისის სპორტის სასახლეში?

ჰოკეის შაიბა დამზადებულია ძლიერ შემკვრივებული (ვულკანიზებული) რეზინისაგან, რომელსაც აქვს ცილინდრის ფორმა. მისი სისქეა 2,54 სმ, დიამეტრი—7,62 სმ, ხოლო წონა შეიძლება მერყეობდეს 141,5 გრამიდან 170 გრამამდე (მოთამაშეთა ასაკის მიხედვით).

თბილისის სპორტის სასახლეს ექნება ხელოვნური ყინულის მოედანი, მაგრამ იგი ვერ დააკმაყოფილებს ჰოკეისტთა ოფიციალური მატჩების ჩატარებისათვის აუცილებელ პირობებს. ჰოკეის მოედნის ზომებია 60×30 მეტრი, ხოლო თბილისის სპორტის სასახლის ყინულოვანი სარბილი გაცილებით უფრო პატარაა. მასზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ წვრთნა და უკიდურეს შემთხვევაში — საჩვენებელი თამაშების მოწყობა (მოთამაშეთა შემცირებული რაოდენობით). ჰოკეისათვის სპეციალური, ხელოვნური ყინულის მქონე სათამაშო მოედნის მშენებლობა თბილისში გათვალისწინებულია.

* * *

უ. სესიტაშვილი სოფ. საქობოდან გვწერს: ვინ არის ესპანეთის „რეალის“ თავდამსხმელი ფ. პუშკაში და რომელ გუნდში თამაშობდა იგი წინათ.

ეს ის რენეგატი პუშკაშია, რომელმაც უღალატა თავის სამშობლო უნგრეთს, დატოვა იგი და გადაბარგდა ესპანეთში. უწინ იგი თამაშობდა ბუდაპეშტის „ჰონვედში“.

* * *

ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყის საშუალო სკოლის მოსწავლეს ვ. ვეკუას აინტერესებს: ვინ არის ყველაზე ძლიერი წყალბურთელი საბჭოთა კავშირში.

უძლიერესი წყალბურთელების კლასიფიკაცია ჩვენში არ ხდება, ამიტომ თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ პირობითად. ჩვენი ქვეყნის ნაკრებს მრავალი წელია სათავეში უდგას ცნობილი წყალბურთელი პეტრე მშვენიერაძე. წლების მანძილზე იგი აღიარებული იყო ყველაზე საშიშ თავდამსხმელად ჩვენს გუნდში.

სხვათა შორის, ამას წინათ გამოვიდა ერთერთი უნგრელი მწვრთნელის წიგნი წყალბურთზე. მსოფლიოს უძლიერეს წყალბურთელთა შორის იგი ასახელებს პ. მშვენიერაძეს, რომელიც „ყველაზე შესანიშნავი ცენტრალური თავდამსხმელია წყალბურთის ისტორიაში“.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ

1961 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ მ. ᲗᲐᲚ-მ. ᲒᲝᲗᲒᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲢᲩ-ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲛᲖᲔᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲐᲚᲔᲝᲑᲘᲗ.

დემონსტრაციის დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ᲓᲦᲔᲡ

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲪᲮᲐᲐ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)

დასაწყისი 14 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა—8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00977